

## ქართული ვერლიბრის რიტმი

ცნობილია, რომ ზოგადად, ვერლიბრს ლექსწყობის ტონურ სისტემას მიაკუთვნებენ, მასში რიტმის მორგანიზებული მახვილია. მაშ, როგორ იღებს ქართული უმახვილო ენა ტონურ ლექსწყობას მიკუთვნებულ ვერლიბრს?

ქართულ რეგულარულ ლექსში რიტმის მორგანიზებული არამხოლოდ სილაბურობა, სტროფიკა და რითმაა, არამედ მათთან ერთად მნიშვნელობა ენიჭება ეფფონიასა და ანჟამბემანს. როგორც თ. დოიაშვილი აღნიშნავს, „ფართოდ გააზრებული, „ეფფონია“, ბგერათგამეორებასა და რითმასთან ერთად, რიტმსაც მოიცავს“ (თ. დოიაშვილი 1981: 37). ჩვენ სწორედ რიტმის საკითხი გვინტერესებს. როგორც ცნობილია, ვერლიბრი რეგულარული ლექსის მახასიათებლებს: იზოსილაბიზმს, რითმას, მეტრიკას, სტროფიკას უარყოფს. მათ რიტმის ორგანიზებაში დიდი წვლილი მიუძღვით. თავისუფალი ლექსის კი მაინც აქვს რიტმი. ვფიქრობ, სწორედ ეფფონია და გადატანა არის ვერლიბრის რიტმის მთავარი მორგანიზებული ფაქტორი. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა, სუსტმა მახვილმაც დაარეგულიროს ლექსის რიტმულობა, მაგრამ არა იმ დონეზე, როგორც ამას ეფფონია და გადატანა შეძლებს. ეს საკამათო საკითხია ალბათ, რადგან ანჟამბემანი მეტრულად მოწესრიგებული ლექსისთვისაა დამახასიათებელი (ანჟამბემანი მხოლოდ მყარი, გამოკვეთილი მეტრის მქონე ლექსებში აღიქმება-თ.დოიაშვილი) და, ძირითადად, სინტაქსზე რიტმის ძალდატანების შედეგია. სავარაუდოდ, მახლობელ მოვლენას, რასაც ვერლიბრში ვხვდებით, სხვა სახელი უნდა დაერქვას. (ამიტომაც ანჟამბემანს (გადატანას), როგორც ტერმინს, ვერლიბრთან მიმართებით ბრჭყალებში ჩავსვამთ) თუმცა თ. დოიაშვილი აღნიშნავს, „ანჟამბემანის წარმოქმნა შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის წინადადებაში - გადატანა არ არის დამოკიდებული წინადადების სინტაქსურ აგებულებაზე“ (თ. დოიაშვილი 2000: 20).

ეფფონია უზრუნველყოფს ლექსის კეთილხმოვანებას. მისი ძირითადი სახეებია: ალიტერაცია და ასონანსი, ასევე ბგერათა ერთობლიობა და ბგერათიმბაძველობა, ანუ ონომატოპეა (ა. ხინთიბიძე 2000). „ლექსის ეფფონია ენის ფონეტიკურ მონაცემებს ეფუძნება“ (ა. ხინთიბიძე 2000: 96). ქართულ ენას კი ახასიათებს სიმძიმეცა და სიმსუბუქეც (ა.ხინთიბიძე; 2000). რიტმის „დაგდება-აწევას“, ვერლიბრში, მსუბუქ (მელოდიურ სიტყვათა) და მძიმე (მრავალთხმოვნის) სიტყვების მონაცვლეობა უნდა ქმნიდეს.

გადატანა მაშინ გამოიყენება, როდესაც „აზრის კონკრეტული მონაკვეთი არ თავსდება ერთი სტრიქონის ფარგლებში და გადადის მეორე სტრიქონზე“ (ა. ხინთიბიძე 2000: 65). სინტაქსისა და რიტმის შეუთავსებლობა იძლევა ანჟამბემანს. „გადატანა რიტმის ძალდატანების შედეგია სინტაქსზე“ (ა. ხინთიბიძე 2000: 65). მას თითქმის ყველა მკვლევარი ერთნაირად განმარტავს. ვ. ჟირმუნსკი წერს: „როცა მეტრული დაყოფა არ ემთხვევა სინტაქსურს, ჩნდება გადატანა“; „გადატანა არის „ტაეპის არდამთხვევა სინტაქსურ მონაკვეთთან“ - განმარტავს ტომაშევი“; „ი. ტინიანოვიც გადატანას ისეთ მოვლენად მიიჩნევს, როდესაც რიტმული რიგი და სინტაქსური ერთობა ერთმანეთს არ ემთხვევა“; „აკაკი გაწერელიას განსაზღვრებით, ანჟამბემანი ეწოდება, „ლექსის ამა თუ იმ ტაეპის დასასრულის გადატანას მომდევნო ტაეპში, რაც ინტონაციურ კონფლიქტს იწვევს მეტრსა და ტაეპის სინტაქსურ დაბოლოებას შორის“ (თ. დოიაშვილი 2000 15 – 16).

თემურ დოიაშვილის მონოგრაფიაში „Enjembement“ ვრცლად არის განხილული გადატანა, როგორც ცნება და პოეტური ხერხი. მითითებულია, რომ არსებობს გადატანის სამი სახეობა: ცეზურული, ტაეპობრივი და სტროფული. მათგან ყველაზე ხშირია ტაეპობრივი. (და ვინაიდან ვერლიბრი სტროფულად ამორფულია, მასში სტროფული „ანჟამბემანი“ ვერ დაფიქსირდება). ავტორის თქმით, „ანჟამბემანის განსაზღვრა, როგორც წესი, ერთი რომელიმე პარამეტრის მიხედვით ხდება - მეტრული სტრუქტურის, ლოგიკურ - სემანტიკური და დასრულებულობის ან რიტმულ - სინტაქსური ერთობის პოზიციებიდან“ (თ. დოიაშვილი 2000: 15). ამ შემთხვევაში, პირველი მათგანი ვერლიბრთან მიმართებით არ გამოგვადგება, რადგან მას მეტრი არ აქვს.

დასახელებულ ნაშრომში აღნიშნულია მეტად საინტერესო ფაქტი, „რომ გადატანა სასაუბრო მეტყველებაზეა ორიენტირებული“ (თ. დოიაშვილი 2000: 53); „პროზაულ ინტონაციაზე ორიენტირება ლექსში ორი ასპექტით ვლინდება: სტილისტიკურად ნეიტრალური პროზაული ინტონაციის სტილიზება და სასაუბრო მეტყველების სტილიზება“ (თ. დოიაშვილი 2000: 53). როგორც ცნობილია, სალექსო მეტყველების სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოება ვერლიბრში ხშირი, შეიძლება ითქვას, ტოტალური მოვლენაც კია. ამასთან, მისთვის დამახასიათებელია სასაუბრო ინტონაცია, ამიტომაც დასაშვებად მიმაჩნია, რომ „გადატანას“ თავისუფალ ლექსში ლოგიკურ - სემანტიკური და რიტმულ - სინტაქსური ფუნქცია ეკისრებოდეს. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვერლიბრი მანიპულაციური ლექსია, იგი ლექსისთვის ზოგად მახასიათებლებს, შესაძლოა, სპორადულად ავლენდეს.

ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული ენა თავისუფლად იღებს ვერლიბრს. ევფონიისა და გადატანის საშუალებით კი ქმნის რიტმს. გამოთქმული აზრის დასასაბუთებლად განვიხილავთ ზვიად რატიანის ლექსს, „მეგობარი ფანჯარა“.

(სიჩუმეც ხომ შეიძლება იყოს დახვეწილი) **დიდი ხანია**

**მზის სხივები ვერ ატანენ მის ნაოჭებში.** დღეებმა იკლეს, დამეებმაც. **დიდი ხანია**

**ყოველდღე** - მე მას ვუთვალთვალე - ფანჯარას უზის

და ამზურებს თავის სიკვდილს. **დიდი ხანია**

**ვერ შეუბედავთ ვერც მზისა და ვერც მთვარის სხივებს**

**მის ნაოჭებში** - ლაბირინთში. **დიდი ხანია**

**შერჩა მის სახეს ორი თვალი,**

როგორც ორი აბეზარი სტუმარი გაცარიელებულ სუფრას,

რომელიც უკვე აალაგა დიასახლისმა

და დაუტოვა თითო ჭიქა, ნაკლული ბოთლი.

ორი თვალი, რომლებშიც ჯერ კიდევ, ინერციით, ბრუნავს სამყარო,

როგორც ბორბალი წაქცეული ველოსიპედის -

დრომ წაიბორძიკა თითქოს,

მაგრამ არ დაეცა, თავი შეიმაგრა, გზა განაგრძო და, აი , ფანჯარა,

მოპირდაპირე სახლის ფანჯარა; ის კი აღარ ჩანს, მოხუცებული,

მაგრამ მე ვიცი, ისევ იქ არის,

ვერ ვხედავ, მაგრამ ვიცი, იქ არის:

იმდენხანს იჯდა ფანჯარასთან, ბუნებრივია, გამჭვირვალეა გადაედო

მინებისაგან.

ამ ლექსში „გადატანა“ უდიდეს როლს ასრულებს. როგორც ვხედავთ, გამოყოფილი სიტყვები ერთ სინტაქსურ წყობას მიეკუთვნება, მაგრამ ისინი დაყოფილია და სხვადასხვა სტრიქონზეა განლაგებული. ეს კი, არამხოლოდ რიტმის შეგრძნებას, არამედ შინაარსობრივ მხარესაც უსვამს ხაზს. როგორც თ. დოიაშვილის გამოკვლევაშია აღნიშნული, „ანჟამბმანის ექსპრესიული ფუნქცია მეტყველების გამომსახველობის გაძლიერებაში ვლინდება. იგი ემოციურად შეფერული მეტყველებით გვიმხელს ავტორის, პოეტის მიმართებას გადმოცემულ ფაქტთან და მოვლენასთან“ (თ. დოიაშვილი 2000; 43). დავაკვირდეთ: ორი ერთი და იმავე აზრის გამომხატველი წინადადება სხვადასხვაგვარადაა სტრიქონებზე განლაგებული:

1. (სიჩუმეც ხომ შეიძლება იყოს დახვეწილი) დიდი ხანია

**მზის სხივები ვერ ატანენ მის ნაოჭებში.**

2. დიდი ხანია

**ვერ შეუბედავთ ვერც მზისა და ვერც მთვარის სხივებს**

**მის ნაოჭებში - ლაბირინთში.**

პირველი წინადადება ორადაა გაყოფილი, მეორე სამ სტრიქონზეა განაწილებული. ორივე შემთხვევაში, სიტყვათშეთანხმება - „დიდი ხანია“ - გამოყოფილია. მერე წინადადებაში ყურადღებას იქცევს სიტყვები - მის ნაოჭებში.

რიტმის ორგანიზებაში, ასევე, დიდი ფუნქცია აკისრია ბგერწყობას. განვიხილოთ შემდეგი სტრიქონები:

„ორი თვალი, რომლებშიც ჯერ კიდევ, ინერციით, ბრუნავს სამყარო,

როგორც ბორბალი წაქცეული ველოსიპედის“.

აქ თვალნათლივ ჩანს „რ“ ბგერის ალიტერაცია. ლექსის ეს ნაწილი რიტმის ტემპს ამკვეთრებს. ამასთან, სემანტიკური მნიშვნელობაც საგულისხმოა.

ანჟამბმანს მიიჩნევენ გააზრებულ პოეტურ ხერხად. ამიტომაც, ვფიქრობ, ლოგიკას არ უნდა იყოს მოკლებული ის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ვერლიბრი, როგორც აზრის პოეზია, „გადატანას“ ცნობს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტილისტიკურ საშუალებად. იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პოეტი გადატანას, მოვიყვანოთ ამონარიდს ზვიად რატიანის კანონიკური ლექსიდან და პოლონელი პოეტის, ტადეუს დაბროვსკის მისსავე (ზვიად რატიანის) თარგმანს.

„დილის სიმღერა“

ვერ გაახურებს ცივ ღამეში გაყინულ მოტორს,

რომელმაც მძლოლი გააწვალა; თუნდაც ერთ ფოთოლს

ვერ დაიფარავს ქარისაგან; ჩემი სიმღერა

პურად ვერასდროს შეიჭმება, ვერც დაიღვრება

საფლაოზე ღვინოდ; და ვერც ევად, მონროდ, ჰეტერად

ვერ შეუწვება ვნება აშლილს; და ვერც ვეტერანს

ვერ დაუბრუნებს დაკარგულ ფეხს. ყოველდღე მეცხრე

სართულის აივნიდან ველოდო მერცხლებს.

გამოყოფილი სიტყვები აღნიშნავენ ანჟამბემანის შემთხვევებს. აშკარაა, რომ ლექსის რიტმი დამოკიდებულია გადატანის პოეტურ ხერხზე. ახლა კი ვნახოთ როგორ ვლინდება „გადატანა“ ვერლიბრის ქართულ თარგმანში.

\* \* \*

სიტყვა ვაშლი არ შეიცავს არანაირ სიმართლეს

ვაშლზე, ისევე როგორც მის ფორმაზე,

სურნელზე, ფერზე

ან გემოზე. სიმართლე არ ჩანს, ვერ დაყნოსავ

და ვერც ჩაკბენ. ნათქვამი ვაშლი არ იჭმევა.

სიტყვა ვაშლსა და ნამდვილ ვაშლს შორის

**ხდება ვაშლი.** მანძილი სიტყვა სიკვდილსა და

**სიკვდილს** შორის გაცილებით ტევადია, იქ **ხდება**

**სიცოცხლე.** ხოლო სიტყვა სიმართლეს და **სიმართლეს**

**შორის**

**ხდება სიკვდილი.**

როგორც ვხედავთ, ერთი წინადადება განაწილებულია ოთხ სტრიქონზე, მაგრამ არაა გამოყოფილი. იგი არ მიიჩნევა გადატანად, რადგან ყოველი ტაეპი დასრულებულ ერთეულად წარმოდგება. ამით იქმნება მოულოდნელობის ეფექტიც. სხვაგვარი ვითარებაა ლექსის მეორე ნაწილში: აქ ყოველი სტრიქონი აზრობრივად დაუსრულებელია, ამასთან „გადატანილია“ ის ფრაზები და სიტყვები, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ტექსტის არსის ამოკითხვისთვის. და ანჟამბემანი, როგორც პოეტური ხერხი სწორედ მნიშვნელოვანი პასაჟების გამკვეთების მიზნით გამოიყენება. აღსანიშნავია, ლექსის სტრუქტურული დაყოფა: ის ორი ნაწილისგან შედგება, პირველში წარმოდგენილია ერთ კონკრეტულ საგანზე, ცნებაზე (ვაშლზე) მსჯელობა - ეს ერთგვარი შემზადებაა მეორე ნაწილისთვის. მეორეში ჯერ წარმოდგენილია ზემორე მსჯელობის დასკვნა. ამის შემდეგ კი ლექსის მთავარი სათქმელი გამოიკვეთება. აქედან გამომდინარე, ეს ლექსი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ტექსტი ტექსტზე, ანუ ის კოლაჟური ტექნიკითაა აგებული. ამ ტექნიკის განხორციელების საშუალებას კი იძლევა ლექსში არსებული „გადატანის“ ხერხი, რომელიც აზრის გამკვეთებესთან ერთად, მონოტონურ დაბალ რიტმულობასაც განაპირობებს.

**დამოწმებული ლიტერატურა:**

1. დოიაშვილი: დოიაშვილი თ., Enjembement, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 2000: 3 – 63
2. დოიაშვილი: დოიაშვილი თ., ლექსის ევფონია, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1981: 3 -210
3. ლიტერატურის თეორია, თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა
4. რატიანი: რატიანი ზ., ჯიბის ჰაერი, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2000: 5 -55
5. რატიანი: რატიანი ზ., ტადეუმ დუბროვსკის ლექსების თარგმანი, გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“ 2012: 15
6. <http://letyra.ru/?p=50&page=5>